

K202.330

3



Ռ. Շահմանը

---

# ՈՂՈՆ ՔԱՅԱԿԱՎԱԾ ՀԵ ԱՇԽԱՏՈՒՆ

---



ოთარ გამაცემა

ლექტორის დასახმარებლად

— 5 —

0ლ0ა შავშავაძე  
ლე  
პერაზე

27

თბილისი

1987'

8СГ092 [к3к35], 0] + 8СГ091:69179



ქვეყნის იური

2) ფინან - კულტურული მუდმივური უნიტეტის

Баканидзе Отар Акакиевич

ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ И УКРАИНА

В помощь лектору

(На грузинском языке)

Общество «Знание» Грузинской ССР

Тбилиси, Ленина, 47

1987



რედაქტორი რ. ბერძელიძე

გარეკანი მხატვარ გ. ავსაჭანიშვილისა

გადაეცა წარმოებას 9. 04. 87. ხელმოწერილია დაბეჭდით 30. 07. 87.  
ჭაღალდის ზომა  $84 \times 1081/32$ ; ნაბეჭდი თაბაზი 1,68; სახლ. -საგამომცემლო  
თაბაზი 1,5.

საქუსტარეტ. გარესას ტირაჟი 35.000. შეჯვალი № 961.  
სახ. სახ. რესპუბ. ფასი 10. კაპ.  
გადალრომ მარტინის სსრ სახოგადოება „ცოდნა“  
თბილისი, ლენინის ქ. № 47

საქართველოს კა ცე-ის გამომცემლობის შრომის წითელი ღროვას  
ორდენისანი სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография изд-ва ЦК КП  
Грузии, Тбилиси, Ленина, 14

3283

2019

-10



**შეცხრამეთე** საუკუნის მოწინავე ქართველი ინტელექტუალური  
ცია ძმური სიყვარულითა და პატივისცემით იყო გამჭვირითია  
ლული რუსი, უკრაინელი თუ სხვა ხალხებისადმი, მათი კულ-  
ტურისადმი. ილია ჭავჭავაძე, აკაძი წერეთელი, ნიკო-  
ლაძე, იაკობ გოგებაშვილი თუ სხვანი ერთმანეთისაგან განას-  
ხვავებდნენ რუსეთის თვითმშპრობელობისა და მშრომელი  
ხალხის ინტერესებს. ამიტომაც იყო, რომ ისინი შეურიგებელ  
ბრძოლას ეწევდნენ ცარიზმის წინააღმდეგ, ხოლო მშრომელი  
ხალხის მიმართ ღრმა სიმპათიებით იყვნენ განმსჭვალულნი.  
ისინი ქადაგებდნენ რუსეთის, უკრაინისა თუ სხვა ქვეყნის მო-  
წინავე წარმომადგენლებთან, მშრომელ ხალხთან ძმობისა და  
მეგობრობის, ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის იდეას.

გამოჩენილი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის ცხოვ-  
რებასა და შემოქმედებაში ნათლად გამოვლინდა და მძლავ-  
რად ახმიანდა სხვა ერის შვილებთან, ხალხებთან ძმობისა და  
მეგობრობის იდეა, სხვა ერის კულტურისადმი, მოწინავე ლი-  
ტერატურისადმი ღრმა ინტერესი. ილია ჭავჭავაძე დიდად აფა-  
სებდა მოწინავე უკრაინულ ხელოვნებასა და ლიტერატურას,  
მწერლობას, გულთან ახლოს მიჰქონდა უკრაინელი ხალხის  
სიხარული თუ ტკივილები. ამის დასტურია მთელი მისი  
ცხოვრება და მოლვაწეობა.

რუსეთის ცარიზმის პოლიტიკის შედეგად მძიმე მდგომა-  
რეობაში მყოფი მშობლიური ქვეყნის. მომავალი იყო ილია  
ჭავჭავაძისა და, მასთან ერთად, ახალი თაობის საზრუნვი და  
საფიქრალი, მოღვაწეობის შინაარსი თუ შემოქმედების ძი-  
რითადი თემა. მაგრამ აღსანიშნავი ის არის, რომ სამშობლოს  
სიყვარულს არასოდეს გაუბრუებია ისინი ნაციონალისტური  
გრძნობით, არ დაუბნელებია მათი ინტერნაციონალისტური,  
პატრიოტული ხედვა.

დიდმა ილიამ და მასთან ერთად ქართველმა სამოციანე-  
ლებმა კარგად იცოდნენ, რომ სხვა ერის სიყვარული და პატი-  
ვისცემა ამაღლებდა და აკეთილშობილებდა ყოველ ადამიანს.

\* \* \*

**ილია ჭავჭავაძე** წლების მანძილზე სათავეში ედგა პო-  
ლიტიკურ და სალიტერატურო ყოველდღიურ გაზეთსა თუ

უურნალ „ივერიას“. ქართული საზოგადოებრივი აზრის ღვაწლ-  
მოსილი მეთაური თავისი გაზეთისა თუ უურნალის მეშვეობით  
ახერხებდა მოწინავე საზოგადოებრივი აზრის პროპაგანდას.

„ივერიის“ მეშვეობით რედაქციის გარშემო შემოკრები-  
ლი მოლვაწენი ადამიანებს საჭიროობოტო საკითხებზე ესა-  
უბრებოდნენ, აჩენლნენ ერის წყლულს, წინ წამოსწევდნენ  
მტკივნეულ საკითხებს, მსჯელობდნენ წარსულ, თანამედროვე  
თუ მომავალ ცხოვრებაზე და ალვივებდნენ მათ გულებში  
სამშობლოსადმი სიყვარულის, მეგობრობისა თუ მოძმისადმი  
პატივისცემის გრძნობას, ასწავლიდნენ მტერ-მოყვარის გარ-  
ჩევას.

„ივერია“ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეის ერთ-  
ერთი ენერგიული მეხოტე-მებაირატრე იყო. მისი რე-  
დაქტორის ილია ჭავჭავაძის ზრუნვითა და მეთაურობით გა-  
ზეთი ამ თემაზე სისტემატურად აქვეყნებდა მასალებს და  
დაუღალუვად ილვწოდა ხალხთა შორის ძმური სიყვარულისა  
და ურთიერთპატივისცემის გრძნობის გასაღვივებლად.

ილია ჭავჭავაძეს ლრმად სწამდა რომ სხვა ერებთან, მათ  
მოწინავე საზოგადოებასთან ქართველი ხალხის მეგობრული  
დამოკიდებულება — მისივე ბეღნიერების საწინდარი იყო. მე  
გამსჭვალული ვარ იმ აზრით, — ამბობდა ქართველი მგოსა-  
ნი, — რომ ხალხთა შორის კარგი დამოკიდებულების გარე-  
შე არა აქვს შევბა საქართველოს. დიდი ილიას ეს აზრი მო-  
წინავე ქართველი საზოგადოების შეხედულებათა გამოხატუ-  
ლება იყო.

თავისი საზოგადოებრივი და ლიტერატურული პოზიციე-  
ბიდან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ ფურცლებ-  
ზე დიდი ყურადღება დაუთმო, სხვა ერების გვერდით, უკრა-  
ინელი ხალხის კულტურის საკითხებს, ამ ქვეყნის ყოფა-ცხოვ-  
რების მრავმარებაზე საუბარს.

როცა ნიკო ლომოურმა თარგმნა ტარას შევჩენკოს „მუ-  
შა ქალი“, ილია ჭავჭავაძემ იგი 1881 წელს „ივერიაში“ გამო-  
აქვეყნა. უკრაინული ლიტერატურისადმი ილიას ინტერესზე  
ღალადებს ის ფაქტიც, რომ მის პირად გიბლიოთევაში ინახე-  
ბოდა უკრაინელი მგოსნის ა. ნავროცის ხელნაწერი თხზუ-  
ლებან.

დიდმა ქართველმა მამულიშვილმა უკრაინული რეალის-  
ტური დრამატურგიისა და ხელოვნების გამოჩენილი წარმო-

მაღვენლების საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით „ივერიის“ შეკითხველებს უკრაინელების შესახებ უაღრესად საინტერესო ცნობები მიაწოდა. ცნობილმა მოღვაწეებმა ა. ფრონელმა (ყიფშიძემ), კ. მესხმა და სხვებმა საქართველოს საზოგადოებრიობას გააცნეს უკრაინული ლიტერატურისა და თეატრის მიღწევები, უკრაინული კლასიკური თუ თანამედროვე ლრამატურგიის ძირითადი ნაწარმოებები, თეატრალური კოლექტივების ჩამოყალიბებისა და მათი ხელმძღვანელების, ზოგიერთი წამყვანი მსახიობის შემოქმედებითი ცხოვრების ისტორია.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე საზოგადოებრივ ცხოვრებაში თეატრს უდიდეს ფუნქციას აკისრებდა. როგორც ამას აღნიშნავდა აკად. გ. ჯიბლაძე.

„თეატრი ილია ჭავჭავაძისათვის ხელოვნების ისეთი დარგია, რომელსაც დიდი განმანათლებლური, აღმზრდელობით შემეცნებითი ფუნქცია აქვს და კარგი რეპერტუარის პირობებში უდიდესი საზოგადოებრივი როლის შესრულება შეუძლია. ამ მხრივ იგი მთლიანად განმანათლებლების პოზიზე დგას, იცავს და ხელს უწყობს ქართული თეატრის განვითარებას, როგორც დიდი ლესინგი მე-18 საუკუნის გერმანიაში ცდილობდა პამბურგის თეატრის განვითარებას“.\*

ი. ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას აქცევდა პრესაში ამ საკითხის გაშუქებას. ილიას უშუალო ხელშეწყობითა და მეთაურობით „ივერიამ“ უკრაინელი ხალხის საუკეთესო თვისებებისა და ტრადიციების, მისი ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების პროპაგანდა-პოპულარიზაცია გასწია.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს საქართველოში ჩამოვიდნენ პირველი უკრაინული პროფესიული დასები გამოჩენილი ლიტერატორებისა და ხელოვანების — მიხაილო სტარიცკის, მარკო კროპივნიცკისა და სხვათა მეთაურობით. ილია ჭავჭავაძის გაზეთმა „ივერიამ“ საქართველოში უკრაინელი მოქმედების ჩამოსვლისთანავე თავის ფურცლებზე გულთბილი საუბარი გამართა მკითხველებთან დატუმრების შესახებ.

\* გორგი ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, 1966, გვ. 607, თეატრისადმი განმანათლებლების დამოუწიდებულების შესახებ ინ. დაგრეთვე გორგი ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, ტ. 1, 1955, გვ. 130-155.

„ქართველთა გაძლიერებული ინტერესი უკრაინელთა ეროვნულ  
განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, მათი ისტორიისადმი, კულ-  
ტურისადმი, — აღნიშნავს ვ. იმედაჟე, — განაპირობა ტრიშია შეზღუდ-  
რისა, რომელიც მოწინავე საქართველომ მოუწყო მომსე ნაურის ფე-  
ლოვნების წარმომადგრენებს, როდესაც ისინი პირველად ჩამოვიდ-  
ნენ თბილისში 1889 წლის ოქტომბერში\*\*.

საქართველოს თეატრალურ სცენაზე წარმოდგენილი პიე-  
სების მეშვეობით ხალხს საშუალება ეძლეოდა ერთგვარად  
მთლიანობაში გვეაზრებინა ძველი და ახალი უკრაინული დრა-  
მატურებია, შეეფასებინა უკრაინული ლიტერატურის კლასი-  
კოსთა, გამოჩენილ წარმომადგენელთა და დამწყებ მწერალთა  
ნაწარმოებები. ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ საგანგე-  
ბო გულისხმიერებით წერდა უკრაინული ხალხისა და ლიტე-  
რატურის დამახასიათებელ თვისებებზე, მათი თეატრის წამ-  
ყვან მსახიობებზე.

მიხაილო სტარიცის დასის ერთ-ერთ დამსახურებად მას  
საოცრად შეთანხმებული თამაში, „გასაოცარი ანსამბლურო-  
ბა“ მიაჩნია. მსახიობთა მართალი თამაში მაყურებელს სია-  
მოვნებას ჰვერიდა. „თითქმის ყველანი რიგიანად და მარილი-  
ანად თამაშობდნენ, — წერს გაზეთი „ივერია“ მ. სტარიცის  
პიესა „ოი, ნუ წახვალ, გრიციუს“ შემსრულებელთა შესახებ, —  
ისე რომ კაცს ეგონებოდა მართლა მალოროსიაში ვარო“\*\*\*

„ივერია“ გულწრფელად აღაფრთვანა პიესის „საუკეთე-  
სო საგალობელმა ხოროსამ“.\*\*\*\* ქართული გაზეთი ხშირად მი-  
მართავს უკრაინული დასის მიმართ აღტაცების გამომხატველ  
სიტყვებს. აღნიშნავს, რომ ესა თუ ის სპექტაკლი „საზოგადო-  
ებამ დიდის აღტაცებით მიიღო“.\*\*\*\*\* რომ წარმოდგენა „უნაკ-  
ლოდ ჩატარებულა“.\*\*\*\*\* თბილისში უკრაინული დასის გას-  
ტროლებს „ივერიამ“ უაღრესად საყურადღებო სტატია მი-  
უძღვნა 1889 წლის 2 დეკემბერს. გაზეთმა თავის მოწინავე  
სტატიად დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი თანამებრძო-  
ლის ა. ფრონელის (ყიფშიძის) ვრცელი სტატია.

\* ვ. იმედაჟე, ტარას შევჩენკო და ქართული კულტურის მოღ-  
ვაწენი, 1964, გვ. 77.

\*\* „ივერია“, 1889, № 217, გვ. 2

\*\*\* იქვე

\*\*\*\* იქვე

\*\*\*\*\* იქვე № 256, გვ. 2.

ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი მოწინავე წერილი, რომელშიაც პროგრესული პოზიციებიდან ობიექტურად და რეალისტურად გაშუქდა პროფესიული უკრანულურული დასების ჩამოყალიბების ისტორია, თეატრის ზნურებულებებისა თუ მასთან დაკავშირებული საკითხები, მხოლოდ მისა ავტორის ა. ფრონელის პირად მოსახრებათა და შეხედულებათა გამომხატველი როდია. იგი უთუოდ არის უკრაინულ ხელოვნებაზე გაზეთის მეთაურის ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა ამსახველიც.

რა თქმა უნდა, ა. ფრონელის სტატიის „ივერიის“ მოწინავედ დაბეჭდვა უშუალოდ ილია ჭავჭავაძის თანადგომით მოხდა. როგორც გაზეთის რედაქტორი, ილია ჭავჭავაძე და აგრეთვე სტატიის ავტორი, ა. ფრონელი, ფიქრობდნენ, რომ საჭირო იყო ქართველ საზოგადოებრიობას უკრაინელი ხალხის წარსულზე, უკრაინული ეროვნული თეატრის ღოლობინების საკითხებზე და მის თანამედროვე მდგომარეობაზე უფრო ფართო წარმოდგენა ჰქონდა, ვიდრე თბილისის რუსული და ქართული გაზეთები აწვდიდნენ. საჭირო იყო ამავე ღროს საზოგადოებრიობას სწორი, მართებული შეხედულება ჰქონდა პროფესიული დასების ჩამოყალიბების ისტორიაზე. ამიტომაც ასე ფართოდ გააშუქა ილია ჭავჭავაძის გაზეთში სტუმრად ჩამოსულ მოძმეთა კულტურისა და ტრადიციის საკითხები.

1890 წელს საქართველოს თეატრების კარები შეაღო უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი შოლვაშის მარკო კროპინკიცის მეთაურობით ჩამოსულმა დასმა. ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ კვლავ სიხარულით ეგბება უკრაინელთა სტუმრობას. „ივერიის“ ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება ინთორმაციები თუ სტატიები უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. კვლავაც განსაკუთრებით აქტიურობს ა. ფრონელი. მისი სტატიები მ. კროპინკიციცის „ობობას“, გ. თ. კვიტკა-ოსნოვიანენკოს ნაწარმენებების „შელმენქო-დენშჩიკის“, „ნიშნობა გონჩარის უბანში“ და სხვათა შესახებ სისტემატურად იძეჭდება „ივერიაში“.

„ივერია“ ერთგულად აცნობს მკითხველებს უკრაინულთა წარმატებებს ქართულ სცენაზე, ესაუბრება პიესის ღირსებანაკლოვანებებზე, მსახიობთა შესრულების ოსტატობაზე.

გაზეთის რედაქტორის შეხედულებით უკრაინელთა ვასტრო-  
ლები მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველ-უკრაინელ  
ძალტურულ ურთიერთობაში, ამითაც აისანება მისი იმ  
გვარი უკრადღება უკრაინელებისადმი.

1890-იან წლებში საქართველოს ხშირი სტუმრები იყვნენ  
უკრაინელი პროფესიული დასები. მოძმე თეატრალები სა-  
ქართველოს საზოგადოებაში ყოველთვის პოულობდნენ იმ  
სითბოსა და სიყვარულს, რომელიც ისტორიულად ესოდენ  
დამახასიათებელი იყო მათი ურთიერთობისათვის. აյად. გო-  
რგი ჯიბლაძე წერს:

„ყოველ წვრილმანს, რომელსაც შეეძლო თეატრის ავტო-  
რიტეტი აემაღლებინა ან ქართველი საზოგადოების ეროვნულ-  
მორალური სიმაღლე ეჩვენებინა, ილია ჭავჭავაძე უმაღლ იყე-  
ნებდა „ივერიაში“ განმანათლებლური მიზნებისათვის“ \*.

ილია ჭავჭავაძე ამავე პოზიციიდან უდგებოდა საქართვე-  
ლოში უკრაინელი თეატრის გასტროლების თავის გაზეთში  
გაშუქების საკითხსაც. სპექტაკლების ანალიზი, რეცენზიებში  
უკრაინელი დასის ხელოვნებისადმი ქართველი მაყურებლის  
კეთილ განწყობილებათა ასახვა, ხსენება იმისა, თუ როგორი  
აღტაცებითა და სიხარულით ხვდებოდა ქართველი საზოგა-  
დოება ყოველ ახალ ჭეშმარიტად ეროვნულ უკრაინელ სპექ-  
ტაციას, — ემსახურებოდა დიდი ილიას მიერ ჩაფიქრებულ  
ერთ საერთო მიზანს.

ილია ამ გზით ფიქრობდა ეჩვენებინა არა შარტო ის, რომ  
ქართულ სცენაზე წარმოდგენილი უკრაინელი პიესები ერთ-  
გვარად ეხმაურებოდნენ ჩევნს სოციალურსა თუ ეროვნულ  
ტექილებს, არამედ აგრეთვე ისიც, თუ რაოდენ დიდი იყო  
ქართველ ხალხში მევობრობისა და ძმობის გრძნობა, სხვა  
ერებისადმი სიყვარული და პატივისცემა.

თერგდალეულებისა და ქართველი ხალხის წინამდებროლი ამ  
გზით თავის მშობელ ერში ამ გრძნობათა გაღვივებასა და  
განმტკიცებასაც ცდილობდა. აქად. გ. ჯიბლაძეს საცხებით შარ-  
თებულად აქვს შენიშნული, რომ

„ილია ჭავჭავაძემ თვისი დროის ქართულ თეატრს ისეთივე სამ-  
სახური გაუწია რეცენზიებით, როგორიც თავისივე თანამედროვე

\* გ ი ღ რ გ ი ჭ ი ბ ლ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძე, 1969, გვ. 612.

ქართულ ლიტერატურას კრიტიკული წერილებით ორივე შემთხ-  
ვევაში მას უცდებოდა ყამირი გადაეხნა".\*

ერის მეთაურმა ასეთივე დაუფასებელი სამსახური გაუწია უკრაინულ თეატრს ქართველ ხალხში მისი ღრამატურგიის აქტიორული თუ რეჟისორული შემოქმედების განხილვა-პრო-პაგანდით. მართლია, ამ შემთხვევაში დიდი ილია მიმოხილ-ვითი სტატიებითა თუ თეორიული ხასიათის წერილებით — „ივერიის“ ფურცლებზე თვითონ არ გამოდიოდა, მაგრამ „ივე-რია“ ხომ მისი სულიერი მოძღვრის სულისკვეთებით გამსჭვა-ლულ სტატიებს აქვეყნებდა უკრაინულ თანამოძმეთა ხელოვ-ნებაზე.

ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიის“ მეშვეობით დიდი რო-ლი შეასრულა უკრაინელი და ქართველი ხალხების შეგობრო-ბის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძის დიდმა პუმანიზმმა, ღრმა პატრიოტიზმ-მა და ინტერნაციონალიზმმა, უკრაინელებისადმი გულწრფელ-მა მეგობრულმა გრძნობებმა თავისი გააკეთა. ქართველ ხალხ-ში ახალი ძალით გაღვივდა ისტორიული მეგობრებისადმი — უკრაინელი ხალხისადმი — სიყვარულის გრძნობა, გაიზარდა პატივისცემა მათ მიმართ, განმტკიცდა ამ ორი ერის მეგობ-რობა.

ილია ჭავჭავაძე მხოლოდ ბეჭდვითი სიტყვის ანდა საქარ-თველოში სტუმრად ჩამოსული უკრაინელების მეშვეობით რო-დი იცნობდა უკრაინას. ამ ქვეყნისა და დაჩაგრული ხალხის სიღატაკე-სიბერიავეს გულდათუთქული მწერალი ბევრჯერ ჩაუფიქრებია. ამიტომაც იყო, რომ როდესაც დიდი ილია ბატონიშვრი ცხოვრების შემზარავ სურათებს ხატავდა, იგი თავის ჩაგრულ თანამოძმეებზედაც ფიქრობდა, ხოლო უქ-რაინელი ხალხი ქართველი შემოქმედის მხატვრულ ნააზრევ-ში თავის ფიქრებსა და მისწრაფებებს პოულობდა. სწორედ ამიტომ ასე გასავები და მახლობელი იყო ილიას შემოქმედე-ბა უკრაინელებისათვის, ამიტომაც იყო, რომ სიცოცხლეშივე შეიყვარა იგი უკრაინელმა ხალხმა.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეებმა: ლევან ასათიანშა,

\* გიორგი ჭიბულაძე, ილია ჭავჭავაძე, 1966, გვ. 633.

არსენ კასპრუქმა და ოლექსა სინიჩენკომ კარგა ხნის წინათ  
მიაქციეს ყურადღება ფაქტებს, რომლებიც ჰეშმარიტად ღა-  
ღადებენ უკრაინული ლიტერატურისაღმი ილია ჭავჭავაძის  
დიდ დაინტერესებაზე: 1881 წელს ილიას „ივერიაში“ ტანას-  
შევჩენკოს „მუშა ქალის“ ნ. ლომოურისეული თარგმანის გა-  
მოქვეყნებასა და ილიას პირად ბიბლიოთეკაში ა. ნავროცის  
თხზულების არსებობას.

ამ მონაცემებს კიდევ ერთი ახალი ფაქტი ემატება. ხარკო-  
ვის არქივში აღმოჩნდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გა-  
მავრცელებელი საზოგადოების მიმართვა ხარკოვის ასეთივე  
საზოგადოებისაღმი. მიმართვაში უკრაინელ კოლეგებს სთხო-  
ებენ გამოუგზავნონ მათ მიერ გახსნილი სკოლების პროგრამა  
და აცნობონ ზოგი მათვეის საინტერესო საკითხი.\* წერილი  
გაგზავნილია 1894 წლის 5 აპრილს, თბილისიდან და მას ხელს  
აწერს ილია ჭავჭავაძე.

როგორც ამ ბარათიდან ჩანს და ხარკოვის წერა-კითხვის  
გამავრცელებელი საზოგადოების ფონდებიდან ირკვევა, სა-  
ქართველოსა და უკრაინის ამ საზოგადოებებს ერთმანეთთან  
მიმოწერა, კავშირი ჰქონდათ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ილია ჭავჭავაძე ამ საქმეს შეთა-  
ურობდა და ყოველმხრივ უწყობდა ხელს ხარკოვის წერა-  
კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან კავშირის დამ-  
ყარებასა და განმტკიცებას. სწორედ ამაზე უნდა შეტყველებ-  
დეს ილია ჭავჭავაძის ზემოხსენებული მიმართვაც ხარკოველი  
კოლეგებისაღმი.

\* \* \*

მეცნამეთვე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის  
სახელოვანი წარმომადგენლის ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და  
მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენია უკრაინის ინტელი-  
გენციას. 90-იანი წლების უკრაინის პერიოდულ პრესაში ქარ-  
თული ლიტერატურის წარმომადგენელთა შორის ილია ჭავ-  
ჭავაძეს საგანგებო ადგილი ეთმობოდა.

უკრაინული პროგრესული საზოგადოება ილია ჭავჭავაძეს  
იცნობდა, როგორც საქართველოს მოწინავე მოღვაწე-მოაზ-  
როვნესა და შემოქმედს. 80-იანი წლების უკრაინულ პრესაში

\* იხ. ხარკოვის საოლქო არქივი, ფ. 200, ს. 153, ფურ. 7.

გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები, რომელთა თარ-  
გმანებიც შესრულებული იყო ბორის გრინჩენკოს, პავლო გრინჩენკო  
ბოვსკისა და სხვათა მიერ. დღესდღეობით ჩვენთვის ცხობრითი  
ლია, რომ უკრაინულ ენაზე თარგმნილი ილია ჭავჭავაძის ლექ-  
სები პირველად 1893 წელს გამოქვეყნდა. ლვოვის უურნალ  
„პრავდაში“ 1983 წელს\* „პოეზიისა და ღრამის“ განყოფილე-  
ბაში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ლექსი „გაზაფხული“. „პრავ-  
და“ იყო უკრაინული ყოველთვიური ლიტერატურულ-სამეც-  
ნიერო და პოლიტიკური უურნალი. თავდაპირველად იგი ბურ-  
უაზიულ-ლიბერალური მიმართულებისა იყო, გამოდიოდა  
ლვოვში 1867—1898 წლებში (წყვეტილად).

იმის გამო, რომ იმდროინდელ უკრაინაში არ არსებობდა  
სხვა მიმართულების ორგანო, უურნალ „პრავდაში“ აქვეყნებ-  
დნენ თავიანთ ნაწარმოებებს უკრაინული ლიტერატურის კლა-  
სიკოსები და მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები —  
პანას მირნი, მიხაილო სტარიცკი, ივან ფრანკო, იური ფედ-  
კოვიჩი, ვ. სამილენჯო, ივან კარპენკო-კარი, მიხაილო კოცი-  
უბინსკი, ივან ნეჩუი-ლევიცკი და სხვანი. ამ უურნალში დაი-  
ბეჭდა ილია ჭავჭავაძის მიერ 1861 წელს პეტერბურგში და-  
წერილი ლექსი „გაზაფხული“ და როგორც მინაწერიდან  
ჩანს, იგი თარგმნილი უნდა იყოს 1892 წლის 30 ოქტომბერს.  
ილია ჭავჭავაძის ამ ორსტროფიანი ლექსის უკრაინულ თარ-  
გმანში შენარჩუნებულია ორიგინალის ზომა და რიტმიც. შე-  
იძლება ითქვას, რომ უკრაინულად უღერებული ილიას ლექ-  
სი შინაარსობლივად და ფორმითაც კი ძირითადად სწორად  
იმეორებს ორიგინალს.

ილია ჭავჭავაძის პოეზიით დაინტერესებულა მეცხრამეტე  
საუკუნის გამოჩენილი მოღაწე ბორის გრინჩენკო. მან 1893  
წელს გამოქვეყნა ილია ჭავჭავაძის ორი ლექსის თარგმანი.  
ილიას ლექსისათვის „გ. აბხ...“ ბ. გრინჩენკოს მიუცია ახალი  
სათაური, ათმარცვლოვანი ქართული ლექსის სტრიქონი თერ-  
თმეტ და ოორმეტ მარცვლიანი სტრიქონებით გაუმართავს,  
ახლოს მისულა დედანთან და მისი სულისკვეთება ქარგად  
გადმოუცია. ამ ლექსის ბ. გრინჩენკოსეული თარგმანი თით-  
ქმის დედნის აღეჭვატურია. შედარებით სუსტია ბ. გრინჩენ-

\* „პრავდა“, პოლიტიკური, მეცნიერებისა და მწერლობის ერთთვიური,  
ტ. XVI, გამოცემა XI—XII, იანვარი, 1893, გვ. 35.

კას მიერ უქრაინულად გადალებული ილიას შეორე ლექსი „მას აქეთ, რაკი...“ ამ თარგმანში თუმცა დაცულია ორიგინალის შინაარსობლივი სიზუსტე, საერთო იდეა, მაგრამ გვჩვდება გადახვევები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა თარგმნა პავლო გრაბოვსკის მიერ. იგი უქრაინული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენელია, უქრაინელი პოეტი-რევოლუციონერია. მისი იდეური ევოლუცია რევოლუციური დემოკრატიზმიდან მარქსიზმისაკენ მიემართება. პავლო გრაბოვსკი პროფესიონალი რევოლუციონერი იყო. სიცოცხლის ნახევარზე მეტი მან მეფის თვითმპყრობელობის ციხეებსა და გადასახლებაში გაატარა.

პავლო გრაბოვსკის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი აღგილი უჟავია თარგმანებს. რუსული მწერლობიდან მას უთარგმნია ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ა. ნეკრასოვის, ნ. ღობროლიუბოვისა და სხვათა ნაწარმოებები. პოეტისათვის სათარგმნი მასალა შემთხვევითი და განურჩეველი არ უნდა ყოფილიყო. ამიტომაც მისი დაინტერესებაც ქართველი პოეტების შემოქმედებით ასევე არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი. გადასახლებაში მყოფი პავლო გრაბოვსკი 1896 წელს ერთ-ერთ ბარათში წერდა:

„ვიგზავნით „ზორიისათვის“ ორ პროზაულ შენიშვნას... აგრეთვე თოხი ლექსის თარგმანს, რომელთაგანაც ორი ეკუთვნის მეტოველ პოეტს ედგარ პოს, ხოლო ორი ქართველ პოეტს — ილია ჭავჭავაძეს, რომელიც რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უქრაინულად ჯერ არ თარგმნილა“.

წერილში დასახლებული იყო ი. ჭავჭავაძის ლექსები — „პოეტი“ და „გაზაფხული“, რომლებიც სულ მაღვე ბეჭდური სახით იხილა ლვოვის საზოგადოებამ. შორეულ გადასახლებაში მყოფ პოეტს შემდგომშიაც არ განელებია ინტერესი დიდი ილიას შემოქმედებისადმი. მან უქრაინული პოეზია გაამდიდრა ჭავჭავაძის ისეთი ლექსების თარგმანებით, როგორიცაა „გუთნის-დედა“, „ელევაზა“, „მას აქეთ, რაკი...“ და დაქართვლის დედას“.

„ზორია“, სადაც შემდგომში გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის ლექსების პავლო გრაბოვსკისული თარგმანები, იყო ორქვირეული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალი. იგი 1880—1897 წლებში დასავლეთ უქრაინაში ქალაქ ლვოვში

ში გამოდიოდა. ივან ფრანკო „ზორიაში“ მოღვაწეობისას ცდილობდა უურნალისათვის დემოკრატიული მიმართულების დაქვიდრებას, მის გადაქცევას ლიტერატურულ და სამეცნიერო ორგანოდ. ივან ფრანკოს დროს ამ უურნალის ფურცლებზე ქვეყნდებოდა გამოჩენილი რუსი და უკრაინელი მწერლების მხატვრული, პუბლიცისტური თუ ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწერები.

1890—1897 წლებში უურნალს სათავეში ჩაუდგა მ. ვ. ლევიცკი (ლუკაჩი), რომელიც შეეცადა მასში პროგრესული ტენდენციების აღდგენას. „ზორიაში“ კვლავ გამოჩნდნენ მოწინავე უკრაინელი მწერლები — მიხაილო კოციუბინსკი, ლესია უკრაინკა და სხვები. უურნალი „ზორია“ მკითხველებს აწვდიდა ინფორმაციებს უკრაინის ლიტერატურული თუ კულტურული ცხოვრების შესახებ. 1897 წელს ამ უურნალში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ორი ლექსის თარგმანი.

როგორც ჩანს, ხელისუფლების მიერ დევნილმა და გადასახლებაში მყოფმა პოეტმა არ იცოდა რომ ილიას ორი ლექსი, რომელიც მან უკრაინულად აახმიანა, ამავე ენაზე უკვე იყო ოთხი წლით აღრე თარგმნილი. ამიტომაც წერდა იგი პანკოვსკის: რამდენადაც ვიცი, უკრაინულად არ არისო გადმოტანილი. ამ ხელმეორე თარგმნით, უკრაინულ პოეზიას არაფერი წაუგია, გრაბოვსკის თარგმანში ილიას პოეზიამ ახლებური უღერა შეიძინა.

ეტყობა, პ. გრაბოვსკის მიერ გადასახლებიდან გამოგზავნილ ბარათზე დაყრდნობით გამოუთქვამს თავისი მოსაზრება. ზოგ უკრაინელ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეს იმის თაობაზე, თითქოს პავლო გრაბოვსკი იყოს ილია ჭავჭავაძის პოეტური ნაწარმოებების უკრაინულ ენაზე პირველი მთარგმნელი. თუმცა ჯერ კიდევ 1900-იან წლებში ალ. ხახანაშვილმა რუსულ და ქართულ ენებზე გამოქვეყნებულ წერილებში მიუთითა, რომ ილიას „გაზაფხული“, და „მას აქეთ, რაკი...“ უკრაინულად ორგზის იყო თარგმნილი.\*

ილია ჭავჭავაძის ლექსების თარგმნა პავლო გრაბოვსკის

\* ამ საკითხზე სწორი მითითება აქვს აგრეთვე ო. სინიჩენკოს და ა. კას-პრუქს. იხ. ო. ს ი ნ ი ჩ ე ნ კ ო, თქვენი თხზულებანი ჩვენს გულებს წვდება, „ლიტერატურნაა გზეტა“ 1957, № 205; ა. კ ა ს პ რ უ კ ი, ილია ჭავჭავაძე და უკრაინა, „რადიანსკე ლიტერატურაზნავსტვო“, 1962, № 5.

ციმბირში დაიწყო. უკრაინელმა პოეტმა ქართული ენა // არ  
იცოდა. ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ მას, ჯერ ერთი,  
ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძე //  
ძის შესახებ რაღაც წყაროები უნდა ჰქონოდა, ან ქართველების  
ბისაგან მომდინარე, ანდა საქართველოს ცხოვრების მცოდნე  
სხვა ერის წარმომადგენლისაგან, ხოლო შემდეგ, ვინმე უნდა  
შეშველებოდა ქართული ლექსის გაგებაში, ბწყარედის გაკე-  
თებაში.

პავლო გრაბოვსკი ილია ჭავჭავაძეზე მაღალი შეხედულე-  
ბისა რომ არ ყოფილიყო, არავითარ შემთხვევაში არ დაიწყებ-  
და მისი ნაწარმოებების თარგმნას. ამგვარი წარმოდგენის შე-  
მუშავება კი მას იმდროისათვის თამამად შეეძლო. ქართველი  
მგოსნის სახელი იმ ხანად უკვე, როგორც ერის გამოჩენილი  
მოღვაწისა და შემოქმედისა, როგორც უკრაინის, ისე რუ-  
სეთის ფართო საზოგადოებისათვის იყო ცნობილი. ამის და-  
მადასტურებელია ის დიდი ყურადღება და პატივისცემა, რა-  
საც მაშინ ქართველი მგოსნისადმი პროგრესული უკრაინული  
ინტელიგენცია იჩენდა.

სავარაუდოა, რომ ილიას ლექსების თარგმნის დროს პავ-  
ლო გრაბოვსკის დახმარებას უწევდა ქართული პოეზის მცოდ-  
ნე პირი, შესაძლოა, ქართველი პოლიტიკური დევნილიც. ამა-  
ვე დროს, მათ შეხვედრებს მაინც არ უნდა ჰქონოდა ჩეგუ-  
ლარული ხასიათი. ამას გვაფიქრებინებს პოეტის ერთი პირადი  
ბარათი, საღაც აღნიშნულია: „იყო შემთხვევები, როცა ქარ-  
თულ ლექსებს ვთარგმნიდით პოლონურად უკვე თარგმნილი  
ლექსებიდან“.

გრაბოვსკისათვის პოეტური სიტყვა რევოლუციური იდე-  
ების პროპაგანდის იარაღს წარმოადგენს. „მაღალობა დათრ-  
გუნე შენ ბრძნებული სიტყვით“ — ასეთი იყო ის ამოცანა,  
რომელიც მან თავის მუზას დაუსახა. ასეთივე მნიშვნელობა  
ჰქონდა მისთვის მთარგმნელობით შოღვაწეობასაც. ამიტომაც  
მიიჩნევდა იგი, რომ თარგმნის დროს პოეტმა მხედველობაში  
უნდა მიიღოს ნაწარმოების საერთო იდეური მიმართულება.

„ყოველ ნაწარმოებში ჩემთვის მნიშვნელობა აქვს მის საერთო ხა-  
სათს და მთავარ ჩანაფიქრს, — წერდა იგი გრინჩენკოს, — მე  
ანტიკვარი არა ვარ და წვრილმანი არ მაინტერესებს და ამიტომ მუ-  
შაობის ამგვარ ხერხს სავსებით შესაძლებლად ვთვლო“.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ პავლო გრაბოვსკიმ ილიას

„პოეტი“ თარგმნა. პოეტის დანიშნულების საკითხი, მისი მონაწილეობა და როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურული ცხოვრებაში ყოველთვის ძლევებდა უკრაინელ რეპრისტული მომსახურების ანერ პოეტს. მისი ღრმა რწმენით, მგოსანშა „მთელი თავისი გრძნობა“, მთელი ნიჭიერება, პოეტური შესაძლებლობანი უკლებლივ უნდა მიიტანოს ერის სამსხვერპლოზე.

პავლო გრაბოვსკი თავის ცნობილ ლექსში — „მე არა ვარ მშვენიერი ბუნების მომღერალი“, — ამბობდა: მე არა ვარ მშვენიერი ბუნების მომღერალი, თავიდან არ მცილდება ხალხის უბედურება, მათ უბედურებას კუძღვნი მე მთელ ჩემ გრძნობებს. ამგვარი შეხედულების მქონე პოეტისათვის, რა თქმა უნდა, ახლობელი იქნებოდა ქართველი ერის მგოსნის აღიარება:

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო  
ვით ფრინველმა გარეგანმა;  
არა მარტო ტკბილ ხმათათვის  
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,  
მეწოდეს მის ტანჯვით სული,  
მის ბედით და უბედობით  
დამედაგოს მტკიცე გული...

პავლო გრაბოვსკის ესმოდა ილიას გულისტკივილი, ძირითადად იზიარებდა მის შეხედულებას პოეტის დანიშნულების შესახებ და ამიტომაც იყო, რომ ის ერთ-ერთი პირველი ლექსი, რომელიც მან ილიას შემოქმედებიდან სათარგმნელად შეარჩია იყო „პოეტი“. პავლო გრაბოვსკის მიერ ილიას „პოეტის“ თარგმანის შესახებ ა. ხახათაშვილი აღნიშნავდა, რომ იყო „ნათარგმნი არის მშვენიერის ენით“.\*

შესანიშნავი აზრისა იყო უკრაინელი პოეტის თარგმანზე ვალერიან იმედაქეც. იგი წერდა:

„პავლო გრაბოვსკის ოსტატური თარგმანი („პოეტისა“ — თ. ბ.) თავის იდეურ-მხატვრული ღირსებებით თითქმის ქართული სამოქალაქო პოეზიის, ამ საყურადღებო პოეზიის, ღონეშე დგას“\*\*

\* ა. ხახათაშვილი, ქართული პოეზიის ნიმუშები მალოროსიულად, „ივერია“, 1900, № 103, გვ. 2—3.

\*\* ვ. ივედაძე, ტარას შევჩერია და ქართული კულტურის მოვაწენი, 1964, გვ. 89.

ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ პავლო გრაბოვსკის ული თარგმანი ილიას „პოეტისა“ ჰეშმარიტად ოსტატურადაა შესრულებული. უკრაინელ პოეტს მოხდენილად აუზეტურულებია ქართველი მგოსნის პოეტური ნაწარმოები უკრაინულად და შესანიშნავი ლექსიც გამოსვლია.

რაც შეეხება დედნის იდეურ, შინაარსობლივ მხარეს, ამ მხრივ პავლო გრაბოვსკის მეტი თავისუფალი დამკიდებულება გამოუჩენია დედნის მიმართ. „პოეტის“ თარგმნის ღროს პავლო გრაბოვსკის, მართალია, არ დაურღვევია დედნის საერთო იდეა, მკვეთრად არ გადაუხევია ავტორის მიერ დასახული მიზნიდან, მაგრამ გარკვეული ცვლილებები კი შეუტანია ლექსის თავდაპირველ იდეურ შინაარსში, ერთგვარად დაუკონკრეტებია იგი და თავისებურად დაუსრულებია ილიას რევოლუციური პოეტური ფრაზა.

პავლო გრაბოვსკი საერთოდ სიტყვა-სიტყვით არ თარგმნიდა პოეტურ ნაწარმოებებს. თავის თარგმანებს იგი მიიჩნევდა გადამღერებად, გადაჭეოებად. არჩეულ გზას მიჰყვებოდა იგი ილიას ნაწარმოებთა თარგმნის ღროსაც. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა თარგმნისას პავლო გრაბოვსკი ცდილობს, ლექსს შეუნარჩუნოს ავტორისეული იდეური ჩანაფიქრი, პატრიოტული სულისკვეთება თუ სოციალური ულერა. მაგრამ, როგორც ვიცით, არის შემთხვევები, როდესაც უკრაინელ პოეტს ქართველი მგოსნის ნაწერებში საკუთარი აზრები და იდეებიც შეაქვს, ცვლის ორიგინალის სტროფებს თუ სტრიქონში მარცვალთა რაოდენობას. ამგვარი პოზიციიდან უდგება გრაბოვსკი ილია ჭავჭავაძის „გუთნის-ლედის“ თარგმანსაც.

ილიას მიერ სტუდენტობის ხანებში დაწერილი „გუთნის-ლედა“, როგორც ცნობილია, ფაქტიურად წარმოადგენს ბატონყმური მონობის იმ გაბედული კრიტიკის დასაწყისს, რომელიც შემდგომ დამახასიათებელ მოტივად იქცევა ამ დიდებული ქართველი მწერლისათვის.

ლექსის ლირიკული გმირი (გლეხი) გულმოკლულია ამგვარი მონური ყოფით, მაგრამ ცხოვრებას პესიმისტურად მაინც არ უყურებს. ქართველმა მგოსანმა ამ ნაწარმოებში ერთგვარად უკვე შეამზადა ფერები იმ შემზარავი, მაგრამ დიდებული სურათებისა, რომლებიც შემდგომში ბატონყმურ ურთიერთო-

ბაზე შექმნა. ოვითმპყრობელობისა და უსამართლდების წილი ნააღმდეგ მებრძოლი უკრაინელი პოეტისათვის ქართველი მგოსნის ეს ნაწარმოები ახლობელი და გასაგები იყო. ამრომაც მოჰკიდა მან ხელი მის თარგმანს.

ილია ჭავჭავაძის „გუთნის-დედა“ რვა ათმარცვლოვანი სტროფისაგან შედგება. გრაბოვსკის იგი ექვს და რვამარცვლოვანი ლექსით გადაუღია და ოც სტროფად გაუწყვია. უკრაინელი მთარგმნელის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მას ავტორისეული არც ერთი მნიშვნელოვანი აზრი თუ ფრაზა თარგმანში არ დაუკარგავს და მისთვის მხატვრული ღონეც შეუნარჩუნებია. პოეტს სწორად მიუგნია ლექსის ზომისათვისაც და ამით შექმნია შესაძლებლობა ქართული ლექსის სიმშევნიერე უკრაინელი მკითხველისათვის რამდენადმე გასაგები გაეხადა.

პავლო გრაბოვსკის, მართალია, არ გადაუხვევია დედანში დასახული ძირითადი აზრისათვის, მაგრამ ერთგვარი დამატებანი მაინც შეუტანია თარგმანში, ზოგ შემთხვევაში კი ქართული ლექსის ცალკეული სტრიქონები და მათში გამოთქმული აზრები თარგმანში უფრო გავრცობილი სახით გადმოუტანია.

„გუთნის-დედის“ გრაბოვსკისეული თარგმანი თავისუფალი თარგმანია, რომელიც სწორად ასახავს დედნის აზრობრივ თუ იღეურ ჩანაფიქრს, ინარჩუნებს მის მძაფრ სოციალურ ხასიათს. „გუთნის-დედის“ მთარგმნელის მიმართ, მართებული იქნებოდა, თუ გამოვიყენებდით ილიას სიტყვებს: „გადმომყეოფებელს ის ღონეც უნდა ჰქონდეს, რაც მთარგმნელს და ამის გარდა თვითშოქმედი ძალიც შემოქმედებისა“.

უფრო თავისუფლად ეპყრობა სათარგმნ ტექსტებს გრაბოვსკი ილია ჭავჭავაძის „ელეგიის“ უკრაინულად ამღერების დროს. პეტერბურგში 1859 წელს შექმნილი ილიას ეს დიდებული ლირიკული ლექსი პავლო გრაბოვსკის უკრაინელებისათვის სათუთი გრძნობების აღმძვრელი პოეტური სტრიქონებით მიუწოდებია. სათარგმნი მასალისადმი ასეთივე თავისუფალი მიღვომა შეინიშნება ილიას ლექსის „მას აქეთ, რაკი...“ მიმართაც. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ეს ლექსი გაცილებით უფრო აღრე ნათარგმნი ჰქონდა ბორის გრინჩენჯოს. პავლო გრაბოვსკის თარგმანი საქმიონაშის კულტურული მექანიზმების შინაგანი განვითარების თარგმანისაგან.

სა, სა, ჩა, ჩა, გა

გა, გა, გა, გა, გა

პავლო გრაბოვსკიმ თავისი პოეტური კალამი ილიას „ქართველის დედის“ თარგმანზეც სცადა. უკრაინელი პოეტისთვის სავსებით ნათელი იყო, ამ ლექსის იდეური მიზანდასახულება. ამის დამადასტურებელი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ თარგმანში საგრძნობლად არის შენარჩუნებული ილიას ლექსის ღრმა პატრიოტული იდეა. მიუხედავად ამისა, ამ ნაწარმოებს უკრაინულ ენაზე გადატანისას მაინც მნიშვნელოვანი ცვლილებანი განუცდია.

პავლო გრაბოვსკის „ქართვლის დედის“ რვა სტროფიდან ეჭვი სტროფი გაუკეთებია, ათმარცვლოვანი სტრიქონებითორმეტმარცვლოვანით გაულექსია. გარდა ამისა, არის სხვა გადახვევებიც. უკრაინელი მოსახი, თარგმნიდა რა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, მასში აქსოვდა თავის რევოლუციურაზრებს, საკუთარი მსოფლმხედველობისა და მეოცე საუკუნის კარიბჭის ეპოქის წულისკვეთებას.

პავლო გრაბოვსკის ეკუთვნის აგრეთვე ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსის „გაზაფხულის“ თარგმანიც. როგორც ნათქვამი იყო, ეს ლექსი ბორის გრინჩენკოს ჰქონდა უკვე თარგმნილი. მასთან შედარებით პავლო გრაბოვსკის თარგმანი შეტიპოეტურობით ხასიათდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პავლო გრაბოვსკის ეკუთვნის ილია ჭავჭავაძის კიდევ ერთი ლექსის თარგმანი. ამ ლექსის უკრაინული სათაური ქართულად ოროლს, მახვილს ნიშნავს. ამ ნაწარმოებში მახვილთან არის შეპირისპირებული კალამი და უპირატესობამას აქვს მინიჭებული, რადგან, ავტორის აზრით, კალამი სისხლისმღვრელ მახვილზე მეტ საქმეს აქვთებს.

